ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის

სხდომის ოქმი N7

ქ. ლანჩხუთი **26.08.2024 წელი**

14:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე, **გიორგი ხელაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ია მოქია, დარეჯან ბურჭულაძე, ნინო მშვიდობაძე და კარლო წილოსანი.

არ ესწრებოდნენ: კახა ასკურავა და მაკა მშვიდობაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი **თამარ ფირცხალაიშვილი**, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე** და საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ია ბარამიძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; თამარ ფირცხალაიშვილი/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს „ბიბლუსისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე; ირაკლი ხუხუნაიშვილი/

დამატებითი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირებისშესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე; ირაკლი ხუხუნაიშვილი/

3. **სხვადასხვა საკითხები.**

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია განეკუთვნება მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას. ასევე „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობენ შეფასების სისტემაში; უსახლკარო პირებს უზრუნველყოფენ თავშესაფრით; აწარმოებენ თავშესაფარში მყოფი პირების რეგისტრაციას და უზრუნველყოფენ რეგისტრირებული უსახლკარო პირების შესახებ ინფორმაციის სააგენტოსათვის ხელმისაწვდომობას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით აუცილებელია უსახლკარო პირი – მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არ მქონე პირი, იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში რეგისტრირებული როგორც უსახლკარო.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს ,,ბიბლუსისთვის” პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის სხდომას გააცნო მერიის

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ შპს „ბიბლუსს" ხუთი წლის ვადით, გადაეცეს მის მიერ მოთხოვნილი უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით. უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა შეადგენს 5040 (ხუთიათას ორმოცი) ლარს.

კომისიის წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.

დამატებითი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ განკარგულებაში რამდენიმე საკადასტრო კოდის ცვლილება განხორციელდა.

კომისიის წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.

სხვადასხვა: დეპუტატმა დარეჯან ბურჭულაძემ კიდევ ერთხელ ისაუბრა ქუჩის მაწანწალა ძაღლების პრობლემის შესახებ და აღნიშნა, რომ პრობლემა როგორმე მოსაგვარებელია.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის" კომისიის თავმჯდომარე **/გიორგი ხელაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის
დასკვნა №7

26.08.2024 წელი
14.00 საათი

მიმდინარე წლის 26 აგვისტოს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; თამარ ფირცხალაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს „ბიბლუსისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე; ირაკლი ხუხუნაიშვილი/

დამატებითი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირებისშესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე; ირაკლი ხუხუნაიშვილი/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების

შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს „ბიბლუსისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

დამატებითი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირებისშესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე **/გიორგი ხელაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს "იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის" წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

26.08.2024 წელი
14:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ხელაძე	13 50	
2	ია მოქია	13:50	
3	კახაბერ ასკურავა	არ ესწრებოდა	
4	მაკა მშვიდობაძე	არ ესწრებოდა	
5	კარლო წილოსანი	13 55	
6	ნინო მშვიდობაძე	13:55	
7	დარეჯან ბურჭულაძე	13 50	